



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერჭილის შახტი

ბერჭილის შახტი, კარსტული მღვიმე დას. საქართველოში, გაგრის ზონაში, არაბიკის კირქველ მასივზე, ორთაბა-ლაგანის ტროგული ხეობის ჩრდ. ნაწილში, ზ. დ. 2450 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ-ზედაიურულ კირქვებში; აქვს სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული ორი, ჰორიზონტალურფსკერიანი შესასვლელი, რ-ებიც რამდენიმე ათეული მეტრის შემდეგ ვრცელ ჭას ერწყმიან. ჯამური სიღრმე 250 მ. მოცულობა 10 ათ. 83. ჩასასვლელიდან 110 მ-ზე იწყება დიდლოდებიანი ნაზვავი, რ-ის სიმაღლე 100 მ-მდეა. შორეულ ნაწილში ჯერ კიდევ შეუსწავლელი სხვა ჭების სისტემა იხსნება. კალციტის ნაღვენთები არ არის.

ბ. ტატაშიძე (ტიმტილოზოვი)
